ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3158051

ნომერი: AR1487303

თარიღი : 20.03.2017

გაცემის თარიღი : 22.03.2017

გაცნობის თარიღი : 28.03.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სანდრო ეული , N 7 / ქალაქი თბილისი , საბურთალოს საცხოვრებელი რაიონი, კვარტალი V , ქუჩა სანდრო ეულის , N 5 , (ნაკვეთი 07/029) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ანზორ სხირტლაძე პ/ნ 01005007961
- თბილისი წყალტუბოს ქ. N 3 ბ. 33

ორგანიზაცია:
- შპს ჯორჯია დეველოპმენტ გრუპ 1 კოდი: 404897741

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100, 102-ე მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 20 მარტის #AR1487303 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ 2013 წლის 14 მარტის №588702 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას კერძოდ: შეცვლილი საკადასტრო მონაცემების და არსებული ექსპლუატაციაში მიღებული შენობის დემონტაჟს და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, საოფისე შენობის, სპორტული დარბაზის და კომერციული ფართების დაფიქსირებას. პასუხად გაცნობებთ, რომ ვინაიდან 2013 წლის 14 მარტის №588702 გადაწყვეტილების საფუძველზე აშენებული შენობა უკვე მიღებულია ექსპლუატაციაში, აღნიშნული ადმინისტრაციული აქტით დაწყებული წარმოება დასრულებულია. შესაბამისად სამსახური 2013 წლის 14 მარტის №588702 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას ვერ განახორციელებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2017 წლის 20 მარტის #AR1487303 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.